



გეოგრაფიკული  
ბუკალი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-03-04/2168

ქ. თბილისი

05 07 2019 წ.

დისერტაციის დაცვის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის, სტუ-ის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2019 წლის 10 ივნისის (ოქმი №25) გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დაინიშნოს დოქტორანტ გიორგი ცივქარაშვილის, (პირადი №01027075966), რომელსაც არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება, დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე. სადოქტორო პროგრამა - „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“, სადისერტაციო თემა - „მაგისტრალური ნავთობსადენების საექსპლუატაციო რეჟიმების განგარიშების და რეგულირების საკითხები“.

სადისერტაციო კოლეგია:

- პროფესორი გრიგოლ ხელიძე (თავმჯდომარე, სტუ);
- პროფესორი დიმიტრი ნამგალაძე (თანახელმძღვანელი, სტუ);
- ასოცირებული პროფესორი ლენა შატაკიშვილი (თანახელმძღვანელი, სტუ);
- პროფესორი ნანი ხუნდაძე (მოწვეული რეცენზენტი, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი);
- აკადემიური დოქტორი გრიგოლ მანდარია (მოწვეული რეცენზენტი, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია);
- ასოცირებული პროფესორი ნათია კვიციანიშვილი (სტუ);
- აკადემიური დოქტორი გივი სანიკიძე (მოწვეული წევრი, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია).

2. დისერტაციის დაცვა შედგება 2019 წლის 18 ივლისს, 15<sup>00</sup> საათზე, სტუ-ის VIII კორპუსის №210 აუდიტორიაში.

რექტორი

არჩილ ფრანგიშვილი